დინამოელებმა ცუდად ითამაშეს

ბაქო. რესპუბლიკური სტადიონი. 28 აპრილი.

“ნეფტჩი” (ბაქო) - “დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

“ნეფტჩი”: კოსენკოვი, ბოგდანოვი, ბრუხტი, სიომინი, ბაბაევი, სემიგლაზოვი, ტროფიმოვი, ზეინალოვი, ალი-ზადე (სტეკოლნიკოვი), ტუაევი, სმოლნიკოვი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, ასათიანი, კუტივაძე (ილიადი), მეტრეველი, გავაშელი, ნოდია (ქიქავა).

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 3:0 “დინამოს” სასარგებლოდ.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მატჩის შედეგს ორივე გუნდისთვის. ბაქოელებმა კარგად აღებული სტარტის შემდეგ ბოლო ორ თამაშში მარცხი იწვნიეს და შინ თბილისელებთან შეხვედრა მათთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა. რაც შეეხება სტუმრებს, როსტოველებთან და ქუთაისის “ტორპედოსთან” მოგებული ორი მატჩის შემდეგ მათ ლიდერთა ჯგუფში მოხვედრის რეალური პერსპექტივა შეექმნათ და მოსალოდნელი იყო, რომ ისინი სრული ძალით იბრძოლებდნენ სატურნირო მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. ამას გარდა, დინამოელებს ყოველნაირად უნდა გამოეყენებინათ ის გარემოება, რომ “ნეფტჩის” აკლდა თავისი მთავარი შემტევი ძალა, ცენტრალური თავდასხმის ტანდემი: ბანიშევსკი-მარქაროვი.

მაგრამ სტუმრებმა ვერ აჩვენეს ის, რასაც მისგან მოელოდა მაყურებელი. გუნდი არ წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებულ საშიშროებას, უნიათოდ თამაშობდა და გამარჯვებისადმი სწრაფვას არც კი ამჟღავნებდა. თამაშის მთელი სიმძიმე თითქოს “ნეფტჩის” დაცვასა და “დინამოს” თავდასხმას უნდა გადაეტანათ, თითქოს აქ უნდა გადაწყვეტილიყო მატჩის ბედი, მაგრამ თბილისელებმა სწორედ თავდასხმის ხაზში გამოიჩინეს ყოვლად გაუმართლებელი, საოცარი ინერტულობა. შეხვედრის დაწყებიდან უკვე 10-15 წუთის შემდეგ გამოირკვა, რომ “დინამოს” შეტევა არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა მასპინძელთათვის, რომ “ნეფტჩი” იოლად ახერხებდა მოპირდაპირე თავდამსხმელებთან გამკლავებას, ამიტომ ინიციატივა სწორედ მასპინძლებმა გამოიჩინეს და სამუშაო, პირიქით, სტუმრების მცველებს გაუჩნდათ.

მაგრამ ვერც დინამოელთა დაცვამ ითამაშა ხეირიანად. ყოველ შემთხვევაში, გაშვებული გოლი მთლიანად მის შეცდომას უნდა მიეწეროს. ტაიმის დამთავრებას ბევრი აღარაფერი აკლდა, როცა შეტევაზე “ნეფტჩი” იმყოფებოდა. თბილისელთა მცველებმა ვერაფრით ვერ მოიცილეს ბურთი, ვერ გაიყვანეს იგი საჯარიმო მოედანს გარეთ და საბოლოოდ წინ გამოსულ სემიგლაზოვს შეატოვეს. 1:0.

გარდატეხა მოსალოდნელი იყო მეორე ტაიმში, მაგრამ აქაც არ გამართლდა ვარაუდი. პირიქით, “ნეფტჩი” კიდევ უკეთ, კიდევ უფრო ძლიერად ათამაშდა და სტუმრებმა, მიუხედავად გუნდში მომხდარი ცვლილებებისა, ვერაფერი შეძლეს. ისინი კვლავ არაორგანიზებულად, სუსტად თამაშობდნენ, თუმცა, ქიქავას შეეძლო გამოეყენებინა ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა, როცა იგი მეკარის პირისპირ დარჩა მეტრეველის გადაცემის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ მსაჯმა არასპორტული საქციელისთვის მინდვრიდან გააძევა ვ. ბრუხტი.

თბილისელებმა მატჩი გააპროტესტეს.

ო. ნისელევიჩი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო”, 30 აპრილი, 1968 წ.